საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-91/ნ

2022 წლის 25 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 111229047, 29/12/2011; 010240070.22.035.016107) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული რეგულირების სააგენტოს დებულება) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჯ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ჯ^{1}) სააგენტოს სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს (და არ შემოიფარგლება) „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ნაკისრი სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს შექმნისათვის წინადადებებისა და საჭირო ღონისძიებების შემუშავებას/განხორციელებას, სააგენტოში წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიული სიმძლავრეების შექმნას/განვითარებას და სხვა;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ზურაბ აზარაშვილი**